# სახალხო გაზეთი

№ 206 ხუთშაბათი, 13 იანვარი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 206

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორავას" ში, მაგათთვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირეის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის

წელიწადი მეორე — **სახალხო გაზეთი** — წელიწადი მეორე

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 3. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის" კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

„სახალხო გაზეთის" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети".

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის" დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის" წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანათისა.



რადგანაც გვსურს ხელ მოკლე ხალხს შედარებით იაფ ფასად მივაწოდოთ

**პაპიროსები,**

რომელიც ყველა თუთუნის მწეველის დააკმაყოფილებს

**ა. ენფიანჯიანცის**

**ქარხანამ გამოსცა პაპიროსები:**

**„ლ ე ვ", 20 ცალი 5 კაპ.**

პაპიროსები „ლ ე ვ ი" ისეთი მშვენიერია ყოველმხრივ, რომ ერთხელ თუ დაიგემოვნეთ, მხოლოდ მის წევას დაიწყებთ,

რადგანაც ამ ფასად არსებულ ყველა პაპიროსებზე უკეთესია.

(10—317—7)





ქ. შ წ.-კითხვის საზოგადოების უმთავრესს

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება

**ვაჟა-ფშაველას**

დასურათებული

**გახტრიონი.**

წიგნის ფასი 20 კ.

ვინც 20 ცალს იყიდის, 20 პროცენტი დაეთმობა.

ადრესი ტელეგრამისათვის:

Тифлисъ Грамотность.

(5—უ.—2)



**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 183.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთ მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხიძე. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრიეცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერგ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ხარაჭ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხატრიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.დღე.

ბონდოევი—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

ხატისოვი ნ დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

**წამლობა „606"-ით.**

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმით სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით.

(100—5.—41)



**ექიმი** ქ. ქუთაისში ს. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულებათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ ვირალოვის სახლი, (50—15—4



ელექტრონისა და რენტგენის

**სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—25)


**ტფილისი, 13 იანვარი**

**ჩვენი გაზეთები.** წლის დასაწყისი პერიოდულ გამოცემათა გამრავლების დროა. წლის დასაწყისში ბევრი ახალი გამოცემა დაიწყობა ხოლმე, წლის ბოლომდე კი მხოლოდ რამდენიმე-ღა აღწევს. წრევანდელი ახალი წელიწადი ჩვენში ამ მხრივ მაინცა და მაინც ძალიან მდიდარი არ არის. შეგვემატა ერთი ყოველ-დღიური გაზეთი ბ-ნი ივ. პ. რუსტომაშვილისა, ერთი—საკვირაო გაზეთი ბ. გრ. დიასამიძისა და ორიოდე საკვირაო ჟურნალი. ჩვენ პერიოდულ გამოცემათა წინააღმდეგნი არა ვართ, მაგრამ ერთი გარემოება, ერთი სენი, რომელიც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ქართველ ინტელიგენტს, იძულებული გვხდის ეჭვის თვალით შევხედოთ ყოველს ახალს გამოცემას. ჩვენ წინააღმდეგნი არ ვიქნებოდით პერიოდულ გამოცემათა გამრავლებისა, ამ გამრავლებას ჩვენი ხალხის რეალური საჭიროებანი რომ მოითხოვდეს და თვით გამოცემანიც შედეგი რომ იყოს ამ საჭიროებათა შეგნებისა. საუბედუროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პერიოდული გამოცემანი ჩვენში ძალიან ხშირად შემთხვევით ჩნდებიან, შემთხვევითა და ვაი-ვაგლახით ახანჩალებენ თავიანთ არსებობას და, მცირე ხნის უფერულ ცხოვრების შემდეგ, სულსა ლევენ.

შემთხვევით აღმოცენებულ პერიოდულ გამოცემებს, რა თქმა უნდა, შინაარსი და მიმართულებაც შემთხვევითი ეძლევა. გადაათვალიერეთ, მაგალითად, ახლად გამოსული გაზეთი „თემი", რომლის ეგრედ წოდებული „მრწამსიც" გუშინ ჩვენს მკითხველებს გავაცანით. გაზეთი ყოველნაირს მიზანს ისახავს, მაგრამ ამასთანავე—არც ერთს. იგი გვპირდება ეროვნულ ინტერესების სამსახურს, მუშათ საკითხის გამორკვევის, კავკასის ერთა შორის სოლიდარულ ურთი-ერთშორის დამკვიდრებას; მაგრამ ამასთანავე დასძენს, რომ იგი ყოველ-გვარ პარტიის გარეშე იქნება, პოლიტიკურს საკითხებს ფართოდ ვერ დააყენებს და სხვ. არ ვიცით სხვები როგორა ფიქრობენ, მაგრამ ჩვენის აზრით ეს ნამდვილი უპრინციპობის გაპრინციპებაა.

პერიოდულ გამოცემებს ჩვენში რომ უფრო სერიოზულის თვალით უცქეროდნენ, ისეთს გაზეთებს, როგორიცაა, მაგალითად, „თემი" ან „სინათლე", ჩვენს ცხოვრებაში ადგილი არ ექნებოდა. რამდენი ხანია, ზომიერი ელემენტნი ჩვენი საზოგადოებისა მტკიცე პერიოდულ გამოცემის შექმნას აპირებენ, მაგრამ დღემდის ვერაფერი მოუხერხებიათ. ამისთანა ორგანოსთვის რეალური საფუძველიც მოიძებნება. იგი თავის განახლებულს ადგილს დაიჭერდა ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებაში და მის არსებობასაც ბევრი გასამართლებელი საბუთი ექნებოდა. ცდილობენ, მაგრამ ცდას დღემდის ნაყოფი ვერ გამოუღია. სამაგიეროდ იბადება გამოცემანი, რომელთაც, როგორც ზევითაცა ვსთქვით, შემთხვევითი ხასიათი აქვს. ეს გამოცემანი ვერავითარს კვალს ვერ დასტოვებენ ჩვენს ცხოვრებაში და მწერლობასაც არაფერს შეჰმატებენ. ჩვენც დღეს ამ საგანზე მხოლოდ ერთის აზრით ჩამოვაგდეთ ლაპარაკი: დაგვენახვებინა ჩვენის მკითხველისთვის, რა უპრინციპობა ასულდგმულებს ნაწილს ჩვენის ინტელიგენციისას და როგორა ჰსურს ქვეყნის სამსახური. ჩვენ სიამოვნებით მივეგებებით ყოველს ორგანოს, თუნდაც ჩვენს სრულს მოწინააღმდეგეს, ოღონდ მას ახალი რამ შეჰქონდეს ჩვენს ცხოვრებაში. ისეთი გაზეთები კი, რანაირიც დღეს არსებობენ, ჩვენ უპრინციპობისა და დაქსაქსულობის საუკეთესო ნიმუშად მიგვაჩნია და ამიტომ ვერც ვუსურვებთ დღეგრძელობას.

**დეპეშები**

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**საზღვარ-გარედ.**

13 იანვარი.

**ტოკიო.** პარლამენტის ოპოზიცია მთავრობას ატყობინებს აღთქმულის შეუსრულებლობასა და კონსტიტუციის დარღვევასა და ხალხის წარმომადგენელთა დაუკითხავად კორეის მითვისებაში. კაცურას კაბინეტის მდგომარეობა ჯერ-ჯერობით შეურყეველია.

**სტამბოლი.** ოსმალეთ-ბულგარიის შორის საბაჟო ხელ-შეკრულობის თაობაზე მოლაპარაკება შესწყდა. ბულგარეთის რწმუნებულნი სოფიისაკენ გაემგზავრნენ.

იემენის აჯანყებაზე ოფიციალურად იტყობინებიან: ქალაქები სანაა და ხოდეიდა აჯანყებულთა ხელშია; ტელეგრაფის მართულები დასწყვიტეს. მთავრობამ 31 ბატალიონი და 5 ბატარეა გაჰგზავნა.

**ურმია.** თავრიზის და ურმიის ვაჭრებმა მეჯლისს პროტესტი განუცხადეს გემთა მისვლა მოსვლის წესის გამო, ვინაიდან თავრიზსა და ურმიას შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლა გაძნელდა. ტბის პატრონი თ-დ იმამ-ყული თეირანში დაიბარეს. თავრიზის გენერალ გუბერნატორმა ბრძანება გასცა, რახიმ-ხანი ცუდად არ მოიხსენიონ.

**ათინა.** სამხედრო მინისტრად ნამყოფი პოლკოვნიკი ლაპათიოტისი და ოთხი უნტერ-ოფიცერი დაატუსაღეს. მიზეზი არ იციან.

**პარიზი.** პრეზიდენტ ფალიერის და სახელმწიფოს უმაღლეს მოხელეთა თანადასწრებით მონაკოს მთავრის მიერ დაარსებული ოკეან-გეოგრაფიული ინსტიტუტი აკურთხეს.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იტყობინება: ჩინეთმა უცხო სახელმწიფოთ თხოვნით მიმართა შავი-


კნ. ეკატერინე გიგოს ასული მიქელაძისა, თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე ჩხეიძე შვილებითურთ, თავ. ვლადიმერ (ბონდო) მიხეილის ძე მიქელაძე, კნ. დავარი აბაშელისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, პირველი—დაუვიწყარ შვილისა, მეორე და მესამენი—მეუღლისა და დედისა, მეორე—დისა და მეხუთე ძმისწულისა

**ალექსანდრა (მატუშ) მიხეილ მიქელაძის ასულის კნ. ჩხეიძისას.**

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ხუთ საათზე; მიცვალებულის გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ბალახვანის ქუჩა, 14 იანვარს დილის 11 ნახ. ს. მთავარ ანგ. ეკლ. დაკრძალვა—წირვის შემდეგ, საფიჩხიის ეკლესიაზე (2—40—1)



ე. ისაბედ თაყაიშვილისა, მელანია და საბა გიორგის ძენი, მარიამ და ალექსანდრე მჭედლიშვილები, გიორგი და მისი მეუღლე ოლღა თაყაიშვილები, ლიზა და ეგნატე იაშვილები, სონა და ლადო ნატრაძეები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი გულმოკლული მეუღლისას, ხოლო დანარჩენნი—სიმამრის

**ნიკოლოზ თაყაიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე, საღ. 6 საათ. (კვირაცხოვლის ქუჩა № 19 საკუთ. სახლი). გამოსვენება კვირას, დილის 10 ს. 16 იანვარს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში; დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—41—1)



ბენეფისი ა. მ. კარგარეთელისა

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 44 (4)

ხუთშაბათს, 13 იანვარს, 1911 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ კ. ყიფიანის, ვ. აბაშიძის და ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა

**„ლალატი"**

ისტ. დრამა 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი დავითაშვილი, კარგარეთელი, ლოლუა, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, ალექსი მესხიშვილი, გუნია, ყიფიანი, მდივანი, მაკარაძე, შველიძე, მამულრია, ზაფარიძე, ცეცხლაძე, მალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასები საბენეფისოა.

ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.



**ტფილისის კერძო სამკურნალო**

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

ხოხოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—869)



ქართველ ქალთა ამხანაგობის

**სამკერვალოში**

მიიღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას. იქვე იღებენ ყოველგვარ საკერავს „გლადით" და „მეტკაზს" ძალიან იაფად.

ვერის კონკები სადაც იდგება, გაბაანთ ქუჩა N 3. (10—29—3)



**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაჩეჩილაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. მომოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. ვ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$ $12^1/_2$ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წ—6.—532)



ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

**საავადმყოფო**

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

**ივ. ზოკერიასი**

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—16)



**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაგინოვის ქუჩა N 7. თ.—180—71



**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.



**ექიმი** გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე კირონის ქ., № 9.



**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა.



**ექიმი** ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, საზ. თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—55



**ექიმი** ი. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხეზე N 24. 0—305



კბილისა

**ექიმი** ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა.

ჭირის მოსასპობად დახელოვნებული ექიმები მოგვაშველეთო. ხარჯს ჩინეთი კისრულობს. ჩინეთში შავი-ჭირის გავრცელებას ვლადივოსტოკის მიდამოებიდან გადმოსულ დათვებს და სხვა პირუტყვებს აწერენ.

**ბუქარესტი**. პარლამენტის წევრთა არჩევნები 16 თებერვლისათვისაა დანიშნული, საგანგებო სესია კი 7 მარტისათვის.

**ვენა**. ხარჯთ-აღრიცხვის დაწერა 1911 წლ. 448,589,803-ია ნავარაუდევი, შარშანდელზე 25 მილიონით მეტი გემთა შესაძენად მთავრობა პარლამენტს ექვსი წლით სთხოვს.

**ბერლინი** 3 თებერვალს პეტერბურგში ხორბლის საერთაშორისო კონფერენცია მოჰხდება.

**ათინა**. უნტერ-აფიცერთა დატუსაღების თაობაზე ოფიციალურად შემდეგს იტყობინებიან: დაპატიმრებულ უნტერ-აფიცრები ლაპატიოსის ბინაზე ღამ-ღამობით საიდუმლოდ იკრიბებოდნენ.

**მეცი**. სამხედრო საავადმყოფო იწვის.

**ტოკიო**. სიკვდილ-მისჯილი ანარქისტები ჩამოახრჩეს. მათ შორის ანარქისტების ბელადი, კოტოკი და მისი მეუღლე.

**პარიზი**. ბიუჯეტის განხილვის შემდეგ, მინისტრთა საბჭო პარლამენტს გემთა საამშენებლო გეგმას წარუდგენს. საზღვაო მინისტრს დაევალა კანონ-პროექტი ორის სამხედრო გემის ასაშენებლად „ჟანბორტის“ ტიპისა შეუკვეთოს.

**სოფია**. ფინანსთა მინისტრმა ვისაც ჯერ არს, აცნობა, რომ ოსმალეთ-ბულგარიის სავაჭრო ხელშეკრულობის ვადის დასრულების გამო, ბულგარეთიდან ოსმალეთში შეტანილ საქონელს 13 იანვრიდან საერთო ბაჟი გადახდებაო,

**მეცი**. სამხედრო საწყობები გადაიწვა. ზარალი ნახევარ მილიონს აღემატება.

**ბერლინი**. სიმენსის და შუკერტის ქარხანაში ვეებერთელა „დირიჟაბლი“ გააკეთეს. ორი მანქანიანი ნავები და ორი მატორი ექნება, თითო 120 ძალისაა, ერთი ნავი მგზავრთათვის და ექვსი პროპელერი აქვს. სანიმუშო ფრენამ კარგად ჩაიარა.

**პარიზი**. კლემანტელმა პალატის ბიუროში სამხედრო უწყების ბიუჯეტზე მოხსენება შეიტანა. კლემანტელი ამბობს, ვისარგებლოთ თანამედროვე მრეწველობის განვითარებით და ახალი მეცნიერულ აღმოჩენებით, უმთავრესად რადიო ტელეგრაფის ჰაეროსტატის და ფრენის დარგში, რაც, რასაკვირველია, მეტს ხარჯს გამოიწვევს.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი**. სათათბიროში შეტანილია კანონ-პროექტი, რომ სასოფლო-სამეურნეო სადგურები გადაკეთებული იქნება სათემო სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგურებად.

**კიევი**. ამ მხარის უფროსმა სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომლითაც მოსწავლეთა წაქეზება სასწავლებლებში მეცადინეობის შეწყვეტაზე არც ძალდატანებითი საშვალებით და არც სიტყვიერად არ შეიძლება.

**პეტერბურგი**. რედაქტორი „სტოლიჩნიე ოტკლიკი“-ს 300 მან. დააჯარიმეს.

**ჰელსინგფორსი**. ასოთ-ამწყობთა გაფიცვის მიუხედავად გაზეთები ჩვეულებრივად გამოდის.

ფინლიანდიის სამეცნიერო აკადემიის ქალ. ლახტისი 150,000 მარკად ღირებულ ადგილს უთმობს და თან 20,000 მარკას წლიურად გადახდას ჰპირდება, თუ მეორე უნივერსიტეტს ფილანდიისას ლახტისში გახსნიან.

**პეტერბურგი**. ჩინეთის რკინის გზის სამმართველომ შავ-ჭირთან საბრძოლველი საშუალებები გამოაქვეყნა. მებრძოლ რაზმში 16 ექიმი, 10 სტუდენტი, 54 ფერშალი და 200 სანიტარი იქმნება. ყველანი თავგამოდებით მუშაობენ.

**მოსკოვი**. პოლიციამ ყალბ ფულის მკეთებელი, ფოსტის მოხელედ ნამყოფი, ტროფიმოვი დაატუსაღა. შინ 200 მან. ყალბი ფული და საკეთებელი იარაღი უპოვეს.

ბონიავსკის სახალხო უნივერსიტეტს 150,000 მან. შესწირეს, ასტრონომიულ ობსერვატორიის მოსაწყობად.

**კიევი**. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით სტუდენტ-იურისტების ბიბლიოთეკა დაიხურა.

**ახალქალაქი**. განთიადისას მიწა მსუბუქად იძრა.

**ბელოსტოკი**. „რუსის ხალხის კავშირის“ სახლი აკურთხეს.

**პეტერბურგი**. ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით მომხდარმა კერძო თათბირმა ჩინეთის რკინის გზის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომები შავი-ჭირის წინააღმდეგ მოიწონა.

**რიგა**. ადგილობრივ საპყრობილედან სისხლის სამართალში მიცემულ სამმა ტუსაღმა გაჭრილ კედლიდან გაპარვა სცადა, მაგრამ ზედამხედველებმა დროზე შენიშნეს და ერთი ტუსაღი სასიკვდილოდ დასჭრეს, მეორე—მსუბუქად. სამივე ეზოში შეიპყრეს.

**ლოძი**. პაზონის გზა-ტკეცილზე ბოროტ-გამზრახველნი პოლიციელთა პატრულს თავს დაეცნენ. ერთი მოჰკლეს, და ორი მძიმედ დასჭრეს. თავდამსხმელნი მიიმალნენ.

**შ ა ვ ი ჭ ი რ ი**

**ხარბინი**. 8—11 იანვრამდე 35 კაცი მოკვდა, სენის გაჩენიდან—582. სტუდენტი ბელიავი დღეს კრიზისს განიცდის. ექიმებს იმედი აქვთ მორჩენისა. სასწავლებელთა წარმომადგენლებმა ითხოვეს მოწაფეთა დათხოვნა.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **ი. ს. ჯაბადარის არ დამტკიცება**. ტფ. გუბერნატორმა თანამდებობაზე არ დაამტკიცა ი. ს. ჯაბადარი, რომელიც საბჭომ ამას წინად ქალაქის გამგეობის წევრად აირჩია. არ იქმნა დამტკიცებული საქალაქო დებულების 118 მუხლის ძალით, რომელიც ასე ამბობს: „ამა თუ იმ პირის დამტკიცება ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზე დამოკიდებულია გუბერნატორზე; ამასთან აუცილებლად სავალდებულო არ არის დამტკიცება იმ პირისა, რომელმაც მეტი თეთრი კენჭი მიიღო“.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი**. როგორც ვიცით, ტფ. ქალაქის საბჭომ დაადგინა, ტფილისში განზრახულ უნივერსიტეტს უსასყიდლოდ დაუთმოს 200 ოთხ-კუთხი საჟენი ქალაქის მიწა, რომელიც მდებარეობს ნავთლუღში, რკინის გზის ლიანდაგის გაღმა. ტფ. გუბერნატორმა ეს დადგენილება არ დაამტკიცა და ქალაქის გამგეობას შემდეგი დამატებითი ცნობები მოსთხოვა: ხსენებული მამული როდის და ვისგან შეიძინა ქალაქმა? პირველად რა დანიშნულება ჰქონდა და ახლა ქალაქს რა საბუთები აქვს, რომ მიწა მისიაო?

✦ **წირვა**. 14 იანვარს, ნინოობას, სიონის საკრებულო ტაძარში მწირველი იქნება ალავერდის ეპისკოპოსი დავითი. წირვაზე იგალობებს ქართული ფილარმონიული საზოგადოების მგალობელთა გუნდი, რომელიც შესდგება 40 ქალვაჟისაგან. შესრულებულ იქნება ოთხ ხმიანი გალობა ზ. პ. ფალიაშვილისაგან სამ ხმიანიდან გადაკეთებული. როგორც ვიცით, ეს საგალობლები უკვე დაბეჭდა ფილარმონიულმა საზოგადოებამ.

✦ **კახეთის რკინის გზა**. 10 იანვარს დეპუტატთა საკრებულოს სადგომში თავად-აზნაურთა წარმომადგენლებმა წაიკითხეს მოხსენება პეტერბურგში კახეთის რკინის გზის საზოგადოების სააქციონერო და საობლიგაციო თანხების განაღდების თაობაზე. ამავ საგნის შესახებ ვრცელ მოხსენების მოსასმენად ტფ. გუბერნიის თავად აზნაურთა კრება დაინიშნა 23 იანვრისთვის, ქართულ თეატრში.

✦ **იუსტიციის მინისტრის ცირკულიარი**, იუსტიციის მინისტრმა სასამართლო ოლქებს მოსთხოვა სია სასამართლო უწყების იმ მოღვაწეებისა, რომელთაც კავკასიური და აზიური ენები იციან. ასეთ პირებს თანამდებობას კავკასიასა და თურქესტანში მისცემენ.

✦ **ოსური წარმოდგენა**. დღეს სახალხო თეატრში ოსური წარმოდგენა გაიმართება. წარმოდგენილი იქმნება „ქურდობის შედეგი“ დრამა 3 მოქ. თომაევისა და „ჭკუისა მჭირს“. დასასრულ ეროვნული ცეკვა გაიმართება.

✦ **ბალტიის და შავის ზღვის შეერთება**. როგორც ვიცით, განზრახულია უზარმაზარ არხის გაყვანა ბალტიისა და შავის ზღვის შესაერთებლად. ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად, გაზეთების სიტყვით, მოჰავალ გაზაფხულზე საუწყებათა შორისო თათბირი მოჰხდება. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენლები და აგრედვე იმ ქალაქებისა და გუბერნიების საბირჟო კომიტეტები, სადაც მომავალმა არხმა უნდა გაიაროს.

✦ **სამკურნალო დახმარება**. კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგემ განკარგულება მოახდინა: მძიმედ ავადმყოფი სოფლელნი, რომელთათვის სოფლის საავადმყოფოებს სამკურნალო დახმარების აღმოჩენა არ შეუძლიათ, აუცილებლად გაიგზავნონ ხოლმე მოსარჩენად ტფილისის მიხეილის სამკურნალოში, სადაც მიიღებენ ტფილისის გუბერნიის ყველა სოფლელს.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება**. ქუთაისის გუბერნიის სოფელ დიდ-ჯიხაიში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება გაიხსნა.

✦ **ტფილისის ხმოსნები**. ქალაქის გამგეობის დავალებით სტატისტიკურმა ბიურომ შეადგინა სია იმ პირთა, რომელნიც საბჭოს ხმოსნებად ყოფილან ტფილისში საქალაქო დებულების შემოღებიდან (1875 წ.). სულ 356 ხმოსანი ყოფილა. გარდაცვლილა 154. ქალაქის საბჭოს კანცელარიას დაევალა, შეადგინოს ბიოგრაფია ყველა ხმოსნებისა და შეიძინოს მათი ფოტოგრაფიული სურათები მომავალ მუნიციპალურ მუზეუმისთვის.

✦ **მღვდლის გძელიშვილის დაპატიმრება**. უკვე დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს ტფ. საეპარქიო სანთლის ქარხნის გამგედ ნამყოფი მღვდელი გძელიშვილი, რადგან ვერ წარადგინა ის სათავდებო ფული, რომელსაც სასამართლო სთხოვდა.

✦ **ნამესტნიკის საბჭოში**. 10 იანვარს კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს კრება მოჰხდა. საბჭომ დაადგინა, იმ 2.363,260 მანეთიდან, რომელიც კავკასიის საერობო თანხიდან პოლიციის შესანახად იხარჯება, 1.054,000 მან. ხაზინას დაეკისროს. შემდეგ საბჭო შეუდგა კავკასიის მიწებზე სხვა-და-სხვა გადასახადის გაწერის საკითხის განხილვას.

✦ **ნინოობა**. ხვალ, 14 იანვარს, ნინოობაა. ამის გამო ნამესტნიკმა თანახმად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობისა განკარგულება მოახდინა, რომ ამ დღეს ამიერ კავკასიის სასწავლებლებში მოსწავლენი სწავლისგან გაანთავისუფლონ.

✦ **შავ ჭირთან ბრძოლა**. ბათომში შავი ჭირის ნიშნებით ერთი კაცი ავად გახდა. ამის გამო ტფილისში საჩქარო ზომები იქმნა მიღებული. ბოქაულებს დაევალათ თვალ-ყური ადევნონ, რომ ტფილისის მცხოვრებლებმა მტკიცედ აასრულონ ტფილისის გუბერნატორის მიერ გამოცემული წესები შავ ჭირთან ბრძოლის წინააღმდეგ დღეს, 13 იანვარს, საგანგებო კრება ექმნება ამავ საგნის გამო ქალაქის სასანიტარო კომისიას.

✦ **ტრამვაი**. 10 იანვარს ქალაქის ტრამვაის მეთვალყურე კომისიამ ტრამვაის დირექცია კიდევ 9,162 მანეთით დააჯარიმა იმის გამო, რომ ტფილისში 28 დეკემბრიდან 10 იანვრამდე ტრამვაის ვაგონთა საკმაო რიცხვი არ მუშაობდა. 9 დეკემბრიდან 10 იანვრამდე დირექცია დაჯარიმებულ იქმნა სულ 22,204 მანეთით.

✦ **ჟურნალი „განათლება“**. რედაქციამ მიიღო მშვენივრად და შინაარსიანად შედგენილი იანვრის № 1 ჟურნალი „განათლება“. შიგ მოთავსებულია შემდეგ ავტორთა ნაწარმოებნი: თ. ლ—ის, გიგიბერიასი, აკაკისა, თ. რაზიკაშვილისა, დ. კლდიაშვილისა, დ. თურდოსპირელისა, რუს-იმერლისა. ვაჟა-ფშაველასი, ე. ევდოშვილისა, ზ. ედილისა, ი. ფერაძისა, იპ. ვართაგავასი, ფანცხავასი და სხვათა.

✦ **გუბერნატორის მოწერილობა**. გუბერნატორმა ტფ. ქალაქის საბჭოს წინადადება მისცა, ქალაქის ბეითალ ექიმს შეინ-ფოგელს 600 მან. პენსია დაუნიშნეთ ქალაქის თვით-მმართველობიდანაო. ეს წინადადება საბჭომ წარსულ წლის 15 ნოემბერს განიხილა და დაადგინა: წინადადება უარყოფილ იქმნას. გუშინ ტფ. გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას მისწერა, ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა შეაჩერეთო.

✦ **რედაქტორის საქმე**. ხვალ, 14 იანვარს, ტფ. ოლქის სასამართლო გაარჩევს საქმეს „ნოვაია რეჩ“-ის რედაქტორის რ. დ. ბებიაშვილისა, რომელსაც ტფილისის ოლქის სასამართლოსთან არსებულ „ნაფიც ვექილთა კონსულტაციის“ მდივანი ნაფიცი ვექილი ბ. მ ბროდსკი უჩივის ამ გაზეთში დაბეჭდილ წერილისათვის: „დახასიათება ჩვენებურ ვექილებისა“.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა**. ტფ. გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას მისწერა, ჩქარა განიხილეთ და დასამტკიცებლად წარმომიდგინეთ ქალაქის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაო.

✦ გუბერნატორმა 25 მანეთით დააჯარიმა ტფ. მცხოვრები სერგო კადაროვი ხორცის ძვირად გაყიდვისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ორის კვირით დაპატიმრებენ.

✦ 11 იანვარს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 61 უპასპორტო.

**დეპუტატ ნ. ს. ჩხეიძის საქმე**

„რუსკოე სლოვო“ დეპუტატ ჩხეიძის თაობაზე სწერს: ნამესტნიკის წინადადება დეპუტატ ჩხეიძის ამომრჩეველთა სიიდან გამორიცხვის თაობაზე, ტფილისის გუბერნიის საარჩევნო კომისიამ უარჰყო. კომისიის აზრით, სახელმწიფო სათათბირო არ გაარჩევს ამ საქმეს, მას უფლება არა აქვს არსებითად შეეხოს ამ საკითხს.

ამის გამო გაზ. „როსსია“ მეტად განრისხებულა ტფილისის საარჩევნო კომისიის საქციელზე და ასეთ ქცევას უწოდებს „უმაღლეს მთავრობასთან ყოვლად უმართებულო პოლემიკას“ და კანონის უვიცობასა სწამებს. გაზეთის აზრით, საარჩევნო კომისია სენატს ექვემდებარება და არა სახელმწიფო სათათბიროს, მაშასადამე იქისი მომიზეზება, რომ ჩხეიძის საქმე ჯერ სათათბიროს არ განუხილივსო, არავითარ საფუძველს არ წარმოადგენს.

ამის თაობაზე სახელმწიფო უფლებათა პროფესორს ნ. ი. ლაზარევსკის უთქვამს:

— საგუბერნიო საარჩევნო კომისიათა დამოკიდებულება სენატთან და სახელმწიფო სათათბიროსთან დღევანდელ დღეს მეტად რთული და გაურკვეველი საკითხია. კანონის ძალით სათათბირო არჩევნების წარმოების უკანასკნელ საფეხურს ადასტურებს, საგუბერნიო კომისია კი—პირველ საფეხურსაო, მაგრამ ეს კიდევ იმას არ მოასწავებს, ვითომც სათათბიროს პირველ საფეხურის შემოწმების უფლებაც არა ჰქონდეს. სათათბიროს შეუძლიან არჩევნების სრული საქმის წარმოება მოითხოვს, ასეთი შემთხვევა მრავლად ყოფილა. საკმარისია შმიდტის საქმე გავიხსენოთ, როდესაც სათათბირომ საქმის წარმოება მოითხოვა და თავისი დასკვნაც დაადგინა. სენატიც სათათბიროს დადგენილე-

# წვრილი კრედიტი საქართველოში

იანვარიც გავა, 1911 წლის პირველი თვე მოსწყდება და 19 თებერვალს დიდებულ აქტის—ბატონყმობის გადაგდებას—მთელი რუსეთი, თავის მრავალ პროვინცია-განაპირა ქვეყნებით 50 წლის იუბილეს გადაიხდის.

დიახ, ხალხი—ბატონ-ყმობის დამხობას გაიხსენებს და მისგან განთავისუფლებას იდღესასწაულებს. ეს შესანიშნავი გარემოება ამ ხალხს, ცოტა არ იყოს, თავის თავს მოაგონებს, გამოაფხიზლებს და მით სხვა და სხვა კითხვებს, სხვა და სხვა მოვლენებს წარმოშობს.

ამისთვის, რუსეთის საერობო დაწესებულებათა დიდი უმრავლესობა უკვე შეუდგა პროექტების და წინადადებების შემუშავებას და სამოქმედო გეგმის შესწავლას. ზოგან საყოველთაო და უფასო სწავლა-აღზრდის მოწყობას ჰფიქრობენ, მხოლოდ გლეხ-კაცობის ახალ თაობისთვის, ზოგან კულტურულ დაწესებულებების დაარსებას სცნობენ საჭიროდ, სხვაგან დროებით-ვალდებულ გლეხების ბატონ-ყმურ მდგომარეობიდან განთავისუფლებას, გლეხკაცობისათვის წვრილ კრედიტის, ანუ სესხის განმტკიცება-გავრცელებას და მრავალ სხვას, რომელთაც, ასეთი თუ ისეთი მნიშვნელობა აუცილებლად ექნება მთელ სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

ამ საერთო ციებ-ცხელებას და სამზადის თვალ-ყურს ვადევნებდით, როცა სხვათა შორის, სატახტო გაზეთებმა დეპეშით გვამცნეს, რომ კავკასიის ნამესტნიკმა, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა ნება დართო 1911 წლის თებერვალში წვრილ კრედიტის, სესხის მესვეურთ საგანგებო „სიეზდი“ მოახდინონ ტფილისში, საქართველოს უძველეს და უდიდებულეს ქალაქში. მოქმედებას თებერვალში დაიწყებს, და ამისათვის ამ საგანზე ხმის ამოღება აუცილებელ საჭიროებად დავინახეთ. არ ვიცნობთ პირადად არც ერთ წვრილ კრედიტის (სესხის) მესვეურთაგანს, არც მათს პროგრამას, მაგრამ განა ამ გარემოებას შეუძლია ოდნავ მაინც ხელი შეგვიშალოს, რომ წვრილ კრედიტის მდგომარეობა საქართველოში სხლარტად მაინც წარმოვიდგინოთ, გავშინჯოთ? განა კითხვას — რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რომლის მოუწესრიგებლობამ ფრიად დიდი გავლენა იქონია საქართველოს საზოგადოებრივ ძალთა დაქსაქსვა-დიფერენციაციის საქმეში, რომელმაც წარმოშვა მცირე რიცხოვანი ფულის მქონე ხალხი დაჩაჩანაკებულ და ტყავგაძვრალ გლეხ-კაცობის ზურგზე, განა ამ შესანიშნავ ფაქტორის საზოგადოების კლასობრივად დანაწილების საქმეში განსაკუთრებულ ყურადღებით არ უნდა მოვეკიდოთ?—მით უმეტეს ისეთ წუთებში, როცა ამ მხრივ ფართე საზოგადოება განსაკუთრებულის გულისყურით და ძალ-ღონით საქმიანობს, როცა ამ საქმიანობობის მესვეურად დღეს დიდებული 19 თებერვალი გამოდის?

სამწუხაროდ, ჩვენ ამ წუთში მთელ თავის სიდიადით ამ კითხვას ვერ შევეხებით. სადღეისო კითხვები, ფრიად რთული და გასაცისკროვნებული იმდენად მრავლისაგან მრავალია—განსაკუთრებით საქართველოს ცხოვრებისათვის, რომ იძულებული ხართ ამ კითხვებს ლაკონიურ აზრებით გაუმასპინძლდეთ, აღვნიშნოთ მთელ შეხედულების ფერმენტი, რომ შემდეგ ამ ფერმენტზე დაასურათო ხორც-შესხმული ტრაგიკული მდგომარეობა.

საღ მოსაზრებისა და მეცნიერულ შეხედულების ფერმენტის აღნუსხვა კიდევ მით უფრო არის საინტერესო, რომ, როგორც სხვა სოციალურ და ეკონომიურ კითხვებზე, ისე სესხის კითხვებზე, აზრთა სხვადა-სხვაობა და შეხედულებათა წინააღმდეგობა ფრიად გაალმასებულია. რადგანაც ჩვენ—სხვათა შორის—გვწამს მომავალ თებერვლის წვრილ კრედიტის სიეზდის ხალხის ძირითად შეხედულებების შეუწყნარებლობა, აპრიორულად ვფიქრობთ რომ ისინი—სიეზდელები—ჩვეულებრივ ბიუროკრატიულ შეხედულებით იქნებიან აღჭურვილი ან, უკეთეს შემთხვევაში,—ბიუროკრატიულ შეხედულებასთან ფრიად ნათესავურ კავშირში, ამისათვის—სხლარტად წარმოვიდგინოთ მე-XIX საუკუნეში მწარმოებელ ძალთა მდგომარეობის თანდათანი განვითარება, რომ არსებულ მდგომარეობის შესწავლით ისეთი საკრედიტო დაწესებულებანი და ზომები მივიღოთ, რომელიც ქვეყნის მწარმოებელ ძალთა განვითარებას და წინ მსვლელობის უზრუნველჰყოფს. ვიმეორებთ, ქვეყნის საერთო სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების შეხედულებაზე დიდად, უაღრესად დამოუკიდებელია როგორც საერთოდ ყოველ ეკონომიურ პოლიტიკის მიმართულება, ისე სესხის მოწეს-რიგებისა და მოწყობის საქმეც. მკითხველმა ალბად იცის, რომ სესხის მხრივ საქართველო ფრიად უნუგეშო მდგომარეობაშია. განა ამ უნუგეშო მდგომარეობის, სესხის მოუწესრიგებლობის კავკასიის მთავრობა აშკარად არ ამართლებს? განა კავკასიის მთავრობა— გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სახით არ ამტკიცებს რომ საქართველოს გლეხ-კაცობის მდგომარეობა თან და თან უმჯობესდება?—და ეს იმ დროსაც მრავალწამებულ საქართველოში ბატონ-ყმობის ნაშთები აგრე ფეხ-გადგმულია, როცა ხიზნები, დროებით ვალდებულნი და სხვანი საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან? წაიკითხეთ გრაფ-ვორონცოვ-დაშკოვის უკანასკნელი ნაწარმოები, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს 34 წევრის კანონ-პროექტის საწინააღმდეგო-საპასუხოდ გამოაქვეყნა საქართველოში დროებით—ვალდებულების განთავისუფლების თაობაზე და ბატონ-ყმურ ნაშთების სრულიად მოსპობაზე, თქვენ დაინახავთ, რომ მთავრობა თანამედროვე საქართველოს შეუწნარებელ ძალთა განწყობილებას ერთიანად ამართლებს. (როგორც საინტერესო ვარიანტი, მკითხველმა სასურველია წაიკითხოს კავკასიაში ხელმწიფის მოადგილის „უქვეშევრდომილეს მოხსენებთან“ ეგრედ წოდებული „Заключенiе Намѣстника Его Императорскаго Величества на Кавказѣ по законодательному предположенiю 34 членовъ Государственной Думы о ликвидацiи обязательныхъ отношенiй крестьянъ Закавказскаго края“). აქედან, მთავრობამ სესხის მდგომარეობის მოწესრიგებაზე რომ ყურადღება არ მიაპყროს, და გლეხ-კაცების სოციალეკონომიური მდგომარეობა, სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობის კულტურა კიდევ უფრო დაეცეს? საკვირველი იქნება?

ჩვენ ამ წუთში ხელთა გვაქვს მთელი რიგი საბუთებისა, რომლითაც ნამესტნიკის ძირითად შეხედულებების და სინამდვილის ანალიზს ერთიანად ვეწინააღმდეგებით. ჩვენს შეხედულებას და დასაბუთებულ აზრებს საქართველოს გლეხკაცობის მდგომარეობაზე უახლოვესელ მომავალში გამოვაქვეყნებთ გაზეთის ფურცლებზე; აქ კი საერთოდ სხლარტად გადავავლოთ თვალი მწარმოებელ ძალთა მდგომარეობის

ბას დაეთანხმა და ამ სახით ამ საკითხის გადაწყვეტაში სათათბიროს კომპეტენცია დაადასტურა.

მართალია, საგუბერნიო კომისია უფრო სენატს ექვემდებარება, ვიდრე სათათბიროს, მაგრამ, თუ კი კომისიისათვის სათათბიროს ცირკულიარებს არავითარი ძალა არა აქვს, სათათბიროსათვისაც ხომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საგუბერნიო არჩევნების კომისიის ცირკულიარებს. ყოველ შემთხვევაში სათათბიროს გადაწყვეტილება უფრო დიდ მნიშვნელოვანია, ვიდრე საგუბერნიო კომისიისა.

სანამ დეპუტატ ჩხეიძის თაობაზე სათათბირო გადაჭრილ დასკვნას არ დაადგება, საგუბერნიო კომისიის აზრს, ცხადია, არსებითად არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

ამ შემთხვევაში ისეთს მოვლენასთანა გვაქვს საქმე, როდესაც ერთი და იგივე საქმე ორ დაწესებულების კომპეტენციას ექვემდებარება—სათათბიროსა და საგუბერნიო საარჩევნო კომისიას. მაგრამ ეს ორთავე დაწესებულება თარასწორ ძალას არ წარმოადგენენ და, თავის თავად ცხადია, მდაბალი დაწესებულება—(საგუბერნიო კომისია) თუმცა პირდაპირ უმაღლეს დაწესებულებას (სახელმწიფო სათათბიროს) არ ექვემდებარება,—ტაქტიკურად იქცევა, როდესაც რომელიმე საკითხის არსებითად გადაწყვეტას სრულიად რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებას აცლის და საქმის ფორმალურ განხილვით თავიდან იცილებს.

# კახეთის რკინის გზა

400 ათას მანეთის შეტანის შემდეგ ფინანსთა მინისტრისაგან მივიღეთ ნებართვა 1910 წ. 24 დეკემბერს პეტერბურგში, რუსეთ-აზიის ბანკში (ნევსკი 62) თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ წესდებისა კახეთის რკინის გზის საზოგადოების აქციონერების პირველი საერთო კრება მოგვეხდინა.

ამ კრებაზე საზოგადოების დამფუძნებელთ აუწყეს შემდეგი:

ა) 1910 წელს 21 თიბათვეს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა კახეთის რკინის გზის საზოგადოების წესდება და გამოცხადებულ იქმნა 20 ოქტომბერს № 105 „მთავრობის მიწერილობათა და განკარგულებათა კრებულში“.

ბ) ყველა აქციები, ღირებული 1,800,000 მანეთად, განაღდებულია და აქციებიდან შემოსული ფული არა ნაკლებ 50%, საერთო ჯამით 900,000 მ., შეტანილია 23 ამა თვეს რუსეთ-აზიის ბანკში, რის გამოც § 1 წესდების თანახმად, საზოგადოება ამ ჟამად უკვე არსებულად უნდა ჩაითვალოს.

გ) წესდების § 41 თანახმად, დამფუძნებელთაგან საზოგადოების აქციონერებს დაეგზავნათ უწყებები, რათა კრებას დასწრებოდნენ და გაერკვიათ აღნიშნულ პარაგრაფში შემდეგი კითხვები:

ა) აერჩიათ გამგეობის წევრები დირექტორი და 3 კანდიდატი § 33 წესდების თანახმად.

ბ) გამოერკვიათ ჯილდო და ჯამაგირი გამგეობის წევრებისა და მათი კანდიდატებისა.

გ) აღენიშნათ ადგილი გამგეობისთვის.

დ) განემარტათ გამგეობის უფლება, ორგანიზაციის მოსაწყობად და საქმის საწარმოებლად ვიდრე მეორედ არ მოიწვევენ საერთო კრებას.

4) ამ ჟამად მომხდარ საერთო კრებას მოემატა 13 აქციონერი თანახმად § 42 უწყებისა; აწ მომხდარი კრება უნდა აღიარებულ იქმნას კახეთის რკინის გზის აქციონერთა საზოგადოებისაგან კანონიერად შემდგარ კრებად და უფლება აქვს გაარკვიოს წამოყენებული საკითხები.

მოსულმა აქციონერებმა, თანახმად § 43 წესდებისა, კრებას წინადადება წარუდგინეს, რათა თავმჯდომარე ამოერჩიათ.

თავმჯდომარედ ერთხმად იქმნა არჩეული ვ. ა. ვინოგრადოვი.

თავმჯდომარე შეუდგა რა თავის თანამდებობის აღსრულებას, კრებას წინადადება მისცა მსურველს თავისი აზრი გამოეთქვა. კამათის შემდეგ თავმჯდომარემ შემდეგი კითხვები წამოაყენა.

1) ჰსურს თუ არა კრებას გამგეობის წევრებს დაენიშნოს 25,400 მანეთი წელიწადში?

2) ჰსურს თუ არა კრებას საზოგადოებას პეტერბურგში ბინა აღმოუჩინოს?

და 3) ჰსურს თუ არა საერთო კრებას, იმ საგნების გარდა რომელიც § 32 წესდებაში არის აღნიშნული მომავალ საერთო კრების მოწვევამდე.

დაევალოს გამგეობას მოახდინოს განხილვა, შეადგინოს პროექტი:

შეადგინოს გზის გასაყვანი ნუსხა და ეს წარედგინოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად, გაანაწილოს საზოგადოების თავისუფალი თანხა, როგორც უფრო სახეირო იქნება, გამოაცხადონ გაზეთებში, რომელშიაც საჭიროდ დაინახავენ, დაამზადოს გზის გასაყვანი მასალა, ამ ნუსხის დამტკიცებამდე მომზადდეს სამუშაო ხელ-საწყო, ფასების განიხვამდე, გასცენ იჯარით სამუშაოები და დამტკიცებულ წესდების თანახმად განაგებდნენ რკინის გზის გაყვანის საქმეს.

კენჭის ყრით სამივე მუხლი ერთხმად მიღებულ იქმნა. რუსეთ აზიურ ბანკისა და ტფილისის თავად-აზნაურთა განწყობილება ასეთია:

ბანკმა კახეთის რკინის გზის წესდების I მუხლის მესამე ნაწილის თანახმად შეიტანა სააქციონერო თანხის 50% ფინანსთა მინისტრის ნებართვით. სააქციონერო თანხის მეორე ნახევარი ბანკმა უნდა შეიტანოს კახეთის რკინის გზის დებულებად 21 მუხლის თანახმად, რის პასუხის-მგებელი არის თავად-აზნაურობის წინაშე.

ბანკი ვალდებულია თავად-აზნაურობას გადასცეს 4,000 ბანკის მიერ განაღდებული აქცია, ნამდვილ ღირებულებით 400000 მანეთისა, რა წამს საზოგადოება ობლიგაციებზე ხელმოწერას გაჰმართავს. ბანკი როგორც აქციონერი, რომელიც აქციების უმეტეს ნაწილის პატრონია, თავად-აზნაურობის წინაშე ვალდებულია გზის გაყვანის ვადაში არც შუამდგომლობა აღძრავს, არც პირადად და არც წერილობით 39—43 მუხლთა შეცვლის თაობაზე.

ბანკი მოვალეა, უკე თუ თავად-აზნაურობა წერილობით მოსთხოვს მუშაობის დაწყებიდან 2 წლის მერე ერთის თვის განმავლობაში ნამდვილ ფასებში იმდენი აქციები (თავის კუპონებით) გადასცეს, რამდენიც კახეთის რკინის გზას აქციათა უმრავლესობის შესასრულებლად აკლიათ; ყოველ შემთხვევაში ბანკი მოვალეა თავად აზნაურობას ჩააბაროს 5500 ცალი 550000 მანეთად ღირებული. ბანკისა და თავად-აზნაურობის ყოველ გვარი ანგარიშები და მიწერ-მოწერა მხოლოდ ბანკის გამგეობის სახელობაზე სწარმოებს.

დამაარსებელთა მიერ შეტანილი თავად-აზნაურობის კუთვნილი ეს 30000 მანეთი თავად-აზნაურობის საკუთრებაა და დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს საზოგადოებას არსებობის დამტკიცების შემდეგ მისი დამაარსებელნი: თ-ნი დ. ე. ჩოლოყაშვილი ი. ზ. ანდრონიკაშვილი და გ. პ. თუმანიშვილი მათ მიერ ნაკისრ თანამდებობათა აღმსრულებლად ითვლებიან და ბანკს კონტრაგენტად მხოლოდ ტფილისის თავად-აზნაურობა მიაჩნია.

(„ზაკავკაზიე“),

# წერილი სურებიდან

სურების საზოგადოება წარმოადგენს მთა-გორაკიან ადგილებს. ის იწყება გურიის აღმოსავლეთ საზღვრიდან, მიდის დასავლეთისაკენ და უჭირავს სიგრძით 30 ვერსი სივრცე. გაივლი ამოდენა მანძილს და მოსახლეებს თითქო ვერც კი ამჩნევ, რადგან ბევრ მათგანს პიტალო კლდეებში გამოუჭრია სამოსახლო და იქ ცხოვრობენ. დაბა ჩოხატაურიდან აქ შემოდის სასოფლო გზა, რომელიც საერთოდ სწორია და აღმართ-დაღმართი არ ახლავს. ეს გზა სუფსის მარჯვენა ნაპირს მისდევს, აქეთ-იქით ამართულა თვალუწვდენელი მთები, შუაში ჩამოქუხს მდინარე სუფსა, ეს გურიის ნილოსი, რომელიც სავსეა კალმახებით და მუდამ მოუსვენარი მისი ჩანჩქარი თითქო „წარსულთა დროთა საქმეთა საგმიროთა“ მოუთხრობს სოფლის მშვიდობიან მცხოვრებთ.

სახნავ-სათესი ადგილები სურებს საკმაოდ არა აქვს და მცხოვრებნი იძულებულნი არიან ფერდობებში სთესონ სიმინდი. გუთნის ხმარება აქ შეუძლებელია და ამიტომაც ხარები არ შეადგენს აქაურ გლეხის აუცილებელ საჭიროებას. ხარის ადგილი ცხენს უჭირავს. ცხენით მოაქვთ სიმინდი და ჩალა, ცხენითვე ჰზიდავენ შეშასა: ყანებში მუშაობის გათავების შემდეგ, ჩავლადრობას ჰკიდებენ ხელს. სიმინდი არ შეადგენს აქაურ გლეხისათვის ერთად-ერთ წყაროს ცხოვრებისას და ამიტომ იმდენი მოჰყავთ, ოჯახს წლიურ სარჩოდ ეყოფა. უმთავრეს წყაროს შემოსავლისას იძლევა ჩავლადრობა ჩოხატაურში, ლანჩხუთში და საჯავახოში. „პარასკეობაზე“ (ბაზრობაზე) სავაჭროდ მოსულ ხალხში სურებელი ჩავლადრებიც ურევიან. აქ მათ მოაქვთ გასასყიდად ფიჭვი და ნაძვის ყავრები, ჰყიდიან კაკალს, რომელიც გურიის არც ერთ კუთხეში ამდენი არ მოდის.

შემოსავლის სარფიან წყაროს აგრედვე თუთუნიც იძლევა. თითოეული ოჯახი 20—60 ფუთამდე თუთუნს ყოველ წლობით აკეთებს, რაიც ფულად 140—420 მანეთს შეადგენს. ამას მიუმატეთ მეაბრეშუმეობა, რომელიც კარგ შემოსავალს სტოვებს და, მცხოვრებნი თუთის ხის ხელოვნურ მორგვა-მოშენებაზე რომ ზრუნავდენ, მაშინ დარწმუნებული ვარ სურების ჯანსაღ ჰავიან ადგილებში ეს შემოსავალი ერთი-ორად გაიზრდებოდა. აბრეშუმის ნედლი პარკი ხშირად გააქვთ გასასყიდად სამტრედიაში და საზოგადოდ ბაზარზე არსებულ ალებ-მიცემით სარგებლობენ, მაგრამ ისევე არაა მოწყობილი თუთუნის გაყიდვის საქმე. თუთუნით ვაჭრობა სავსებით ჩაუგდიათ ხელში სოფლის მევახშეებს, რომლებსაც თითო ფუთზე 3—4 მანეთი სარგებელი მაინც რჩებათ. ისინი თითონ ჩამოივლიან ხოლმე კარ და კარ და ბეს არიგებენ.—ამას გარდა მისდევენ მეფუტკრეობასაც და ისეთ ოჯახს ვერ შეჰხვდებით, რომ თაფლის გემო და მისგან სარგებლობა არ იცოდეს.

როგორც ჰხედავთ სურებს სიმდიდრით გურიაში საზოგადოება ვერ შეედრება, ბუნებასაც უხვად დაუჯილდოვებია ეს კუთხე და ამიტომ ცხოვრების უკუღმართობას უფრო ადვილად უწევენ ანგარიშს, ვინემ გურიის დანარჩენი სოფლები. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ მდიდარ საზოგადოებას რაიმე კულტურული კანძი შეექმნა, კულტურულ მუშაობისათვის მიეყო ხელი, რომ მით უკვდავ ეყო სოფლის მომავალ თაობის უზრუნველი განვითარება და ეს ასეც მოხდა. დღეს სურებს სამი ორკლასიანი სასწავლებელი აქვთ: ორი სამრევლო და ერთი სამინისტრო. განსაკუთრებით კარგ ნიადაგზეა დაყენებული სამრევლო სკოლები; ასეთ სკოლის შენობებს გურიაში იშვიათად შევხდებით.*) თვით ეპარქიალური ზედამხედველი სინსკი ადტაცებაში მოსულა ამ სკოლების დანახვაზე. სკოლების გარდა სხვა დაწესებულებაც არსებობს. ს. ვანში (ქვემო სურებში) აქვთ კოოპერატიული სავაჭრო. არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო და შემნახველ-გამსესხებელი კასსა.

დასასრულ, ცოტა რამ სურებელთა წარმოშობის და მათს ზნე-ხასიათზე. სურებელი, როგორც სხვა გურული, სწრაფი და მარდია, როგორც მთის მცხოვრები—პირდაპირი და გულწრფელია. ფლიდობას და სიტყვის გატეხას იშვიათად შეჰხვდებით. ხალხის სიკეთე, საზოგადო საქმე უმრავლესობას საპატიო ცნებად მიაჩნია და ამიტომ ხალხისაგან განდგომილი პირები უმრავლესობისაგან ყოველთვის გაკიცხული და შეჩვენებულია და ამ მხრივ სურები გამონაკლისს შეადგენს დღევანდელ გურიის საზოგადოებათაგან.

ძველთაგან სურებში ძლიერი ნიადაგი ჰქონდა ფილარობას და პირველად აქ მხოლოდ ფილარები ესახლა. მათგან წარმოსდგა დღევანდელი სურელები. ასე ამბობენ ეხლანდელი მცხოვრებლებიც: „ჩვენი წინაპრები ფილარები იყვნენ, იქიდან მოვმდინარეობთ ჩვენც, თორემ ისე აქ რა მოგვიყვანდაო“. არა ერთი ბატონ-ყმობისაგან უკმაყოფილო და ბატონის სახლიდან გამოქცეული აფარებდა ძველად თავს სურების ულრან ტყეებს, აქედან მათ შეეძლოთ გადასვლა ახალციხის მხარეში, სადაც პირდაპირი გზა მიდის სურების მთებით. ერთ მათგანს, ალმასხან ბედინეიშვილს, 50 წელი გაეტარებინა ფილარობაში და 1905 წელსაც კი მოესწრო ღრმად მოხუცებული. თუმცა ის არ ყოფილა პირდაპირ დამოკიდებულებაში თავის ბატონის ზურაბ ერისთავის სასახლესთან, მაგრამ მოურავისაგან ძლიერ შეწუხებული, მწარე სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ხშირად მოვიდოდა მასთან მოურავი, გაიკეთებდა ღვინის მარანზე საწოლს და ბრძანებდა: მომართვი, მასვი და მაჭამე და სამ დღეზე ნაკლებს არ დარჩებოდა. ასეთ ყოფაში გლეხის მარანზე დიდ ხანს უთმენდა მას საწყალი „ალმასხანი“ და ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა, მოჰკლა მოურავი, მოჰკლა თვით ბატონიც ლოგინში მწოლიარე და შემდეგ გაეშურა სურების მთებში. გავიდა 50 წელი და ბოლო დროს ის სოფელში მოვიდა; ცოდვების მონანიების წადილს შეეპყრო და ამიტომ ბერად შევიდა „სამების მონასტერში“. თუმცა ის ძალზე მოხუცებული იყო, მაგრამ მოძრაობის ამბები მაინც ხიბლავდა და სიამოვნების ღიმილს ჰგვრიდა. ის გარდაიცვალა 1905 წელს და ხალხმაც ღირსეულად დაასაფლავა 95 წლის მოხუცი „ალმასხანი“. Uvo.

# წერილი ქუთაისიდან.

დღესასწაულებმა აქედ უამინდობისა გამო მოწყენილად ჩაიარა. 30-31 დეკემბერი ქარ-ყინვა იდგა, ახალი წლის პირველი დღიდან წვიმა მოჰყვა, ხუთი იანვრიდან კი სამი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ითოვა და თოვლი ორი არშინის სიმაღლეზე დასდო, გზები შეიკრა; მოსწავლეები 7 და 8 იანვარს სასწავლებლებში ველარ მივიდნენ; ამის გამო არსად სწავლა არ ყოფილა; ეტლები გაჩერდნენ; მებოჰკეებს ბოჰკებში ორ-ორი ცხენი უბიათ და ბოჰკა წყალი სამი აბაზი გახადეს და სადაც ვერ მიიტანებენ უგზოობისა გამო, იქ ათი მანეთიც რომ მისცეთ, მაინც წყალს ვერ მოგიტანენ; შეშა გაძვირდა, სოფლიდან ველარ შემოაქვთ; სიმინდის ფქვილს წელს მოვესწარით ფუთს ათ შაურად და ეხლა ისევ მანეთი გახდა; ორ დღეს ხორცი არ იშოებოდა, რადგანაც საყასბოდან დაკლული საქონელი ვერ მოიტანეს. დღეს გირვანქა ხორცი 13 კაპ. იყიდება. მედუქნეებმა ნავთი გააძვირეს, ოთხიხუთი გირვანქის მეტს ერთად როდი ჰყიდიან თვითეულ მუშტარზე. სახლის ბანები ორ-ორჯერ გადმოხვეტეს, მენიჩბე მუშა საათში თითო მანეთად ფასობდა. სახლებისა და დუქნების მეპატრონეებმა ბევრმა გადაიხადა სახურავების გადმოწმენდაში ათი-თუთხმეტი მანეთი. 8 იანვარს ჯარები გამოიყვანეს ნიჩბებით ხიდებისა და გზების გასაწმენდად ბაზარში, მაგრამ ჯერ კიდევ მთავარ ქუჩებზე თუ შეუვლის მარხილი მარხილს, თორემ განაპირა უბნებში და შესახვევებში ეტლთა მიმოსვლა არ არის. ღარიბი ნაწილი მცხოვრებთა დიდ გაჭირვებას განიცდის უშეშობისა, უფქვილობისა და უწყლოობისა გამო.

8 იანვარს ღამით მოჰყინა; რეომიური დილით გარეთ ყინვას 7 გრადუსს უჩვენებდა.

8 იანვარი მზიანი დღე დადგა, ბაზარში სოფლებიდან ცხენის საპალნე შეშა გაჩნდა; ნიავმა ცოტა თვალიც შეანძრია, ღარიბ ხალხს იმედი მიეცათ და ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა. ლადო ბზვანელი.

# მოწერილი ამბები

ს. კაჭრეთი. (სიღნაღის მაზრა.) ფერაფერი საუკეთო მომავლის იმედით მიგვებს ჩვენი სოფელი კაჭრეთი და საზოგადოდ უკანა მხარე ამ შობა ახალწელიწადს: გაიარა ძალიან მშრალმა შემოდგომამ და მიდის ზამთარიც ისე, რაც მოსავალს არ უხდება და ენკენისთვიდამ ნათესი მარცვალი დღესაც გაუღივებელი ძურია ნახნავში. ჯერ ჭინჭველამ მისცა ზარალი და რაც მან დააკლდა, ეხლა თაგვი ასრულებს. ერთის სიტყვით მოსავლის მხრივ მომავალ წლისთვის მთელი უკანა მხარე იმედ დაკარგულია, კაჭრეთი ხომ სულ უბედურებას განიცდის. ჯერ იყო და ჩვენი მოსავლისა თითქმის ნახევარი მოგვიყვა, თ-დ. მაყაშვილის მამულში, რომელიც ეს და ამასთან სხვა წვრილი მამულებიც ჩვენს ბოლოზედ მოსულ ხალხის ხელში გადაიდა და მოსავალზე მთლად ხელს აგვაღებინებენ თუ თვითონ მაყაშვილ-

თანდათანობითი განვითარებას, მის საჭიროება-მოთხოვნილების სესხისადმი საქართველოს სოციალურ ძალების მისწრაფებას და სესხის მოწესრიგებას.

არედიტის, ანუ სესხის კითხვა ქვეყნის მწარმოებელ ძალთა მდგომარეობის კითხვაა. რამენადაც თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების წესი მოუწესრიგებელია, იმდენად შერყეული და უიმედოა სოციალურ ძალთა სოციალური და ნივთიერი მდგომარეობა. მათ სესხს თან და თან მეტ მნიშვნელობას და ძალას აძლევს მთელ ეკონომიურ ცხოვრებაში. თვით კაპიტალისტურ წყობილებასთან ერთად ვითარდება კრედიტიც, ეს უკანასკნელი განსაკუთრებით იმათთვის მეტად საგულისხმიერო და აუცილებელია, ვისაც თავისი მდგომარეობის და მოთხოვნილების უზრუნველყოფა სხვა ძალის დაუხმარებლად არ შეუძლიან. თვით წვრილ კრედიტის აზრი ის არის, რომ მწარმოებელ ხალხს დაეხმაროს, საოჯახო პირობების გაუმჯობესობასთან ერთად ხელი შეუწყოს საწარმოვო იარაღების შეძენაში, რომ მით, როგორც თავისი კერძო, ისე საზოგადოებრივი სიმდიდრე გამოსჭედოს. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს აზრი თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ პირობებში მხოლოდ გამოფიტულ, უსულ-გულო წინადადებად რჩება, რადგანაც გაბატონებული ძალნი წვრილ კრედიტს საერთოდ ისეთ მდგომარეობაში აყენებენ, რომ მსესხებელნი და კრედიტის ობიექტნი არა თუ ჰუმჯობესებენ თავიანთ კერძო თუ საზოგადოებრივ ჰაპან-წყვეტას, არამედ უფრო ართულებენ თავიანთ უნუგეშო მდგომარეობას, კიდევ უფრო აალმასვენ, ამახვილებენ იმ ხმალს, რომელიც ერთი ხელის დაქნევით სულსა და სისხლს ანთხევინებს გაჭირვებულ მსესხებელთ.

მიუხედავად წვრილ კრედიტის ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებისა, წვრილ კრედიტს აუცილებლად დიდი მომავალი აქვს, როგორც ყველა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ისე საქართველოშიაც. წვრილი და მსხვილი საკრედიტო დაწესებულებანი უკვე არსებობს საქართველოში. სესხის საჭიროება თან და თან ფართოვდება და მიუხედავად სესხის მოუწესრიგებლობისა და ფართე მასის გაძვალ-ტყავებისა, მის ულმობელ კლანჭებში მრავალი ახალი მსხვერპლი ვარდება.

ჩვენ ვთქვით, რომ სესხს დიდი მომავალი აქვს ჩვენში, მაგრამ სესხს ფრიად ნოყიერი ნიადაგი ჰქონდა აგრეთვე მეორე საუკუნის განმავლობაშიაც.

ბიუროკრატიულ მთავრობის საქართველოში გაბატონების პირველ დღიდანვე იწყება გლეხ-კაცობის სოციალურ-ეკონომიური ექსპროპრიაცია. პაუპერიზმი, მათხოვრობა და უუმწვერვალესი სიღატაკე მე-19 საუკუნის პირველ წლებიდანვე საქართველოს ცხოვრების შინაარსად გახდა. გლეხ-კაცობის დიდი უმრავლესობა სულით-ხორცამდე გაფცქვნილი იყო და თუ რაიმე საშუალება გააჩნდათ, ბიუროკრატია ნაირნაირ ზომებით ცდილობდა გაენადგურებინა გლეხ-კაცობის ეს უკანასკნელი საშუალებანიც. ვინც გასცნობია ბიუროკრატიის პოლიტიკას სამართველო გაბატონების პირველ ხანებშივე, ვისაც დაუნახავს და შეუსწავლია სახაზინო ექსპედიციის მოღვაწეობა განსაკუთრებით ეკონომიურ და ფინანსიურ მხრივ, ვინც მხედველობიდან არ უშვებს მე-40—50 წწ. ხელმწიფის მოადგილე ვორონცოვის მოღვაწეობას და განსაკუთრებით მე-60 წლების რეფორმების ხანებს, როცა დიდი მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძის ხელში ერთიანად განადგურდა საქართველოს გლეხ-კაცობის ნივთიერი ძალა და შემდეგ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მუშაობას, მიწების დამიჯვნას და მრავალ სხვებს.

აი, ყველა ამ ზომებს, რომელზედაც ბიუროკრატიული სიდუხჭირის ბეჭედი ასვია შევისწავლით, მაშინ აშკარა ჰხდება ყველასათვის, რომ გლეხ-კაცობა საქართველოში განსაკუთრებით ცუდ პირობებში იმყოფება, რომ მისი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა თან და თან უარესდება, რომ ასეთ შერყეულ ნიადაგზე ფრიად გაშლილი ასპარეზი ეშლებოდა სესხის წარმოშობა-განვითარების საქმეს საქართველოში.

სწორედ, სესხი საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში იჭერს სათანადო ალაგს. მართალია საკრედიტო დაწესებულებანი საქართველოში ოფიციალურად მხოლოდ მე XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაარსდა, რომელიც, მთელ რუსეთთან ერთად, უმთავრესად მე-70—80—90 წ.წ. განვითარდა. მაგრამ თუ საქართველოში აქნობამდე არ არსებობდა წვრილ სესხის მომწესრიგებელი დაწესებულებანი, ეს პირველ ყოვლისა ბიუროკრატიულ მთავრობის სიდუხჭირით აიხსნება გაჭირვებული გლეხკაცობა—რომელთაც არ შეეძლო გარეშე ძალის დაუხმარებლად თავიანთ მდგომარეობის და არსებობის დაცვა მრავალრიცხოვანი იყო ხსენებულ საუკუნის პირველ ნახევარში, ამისათვის, სესხიც თავისებურ პირობაში გამოიხატა, რომელიც საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მევახშეობას უდრიდა.

საკრედიტო დაწესებულებების ალაგი საქართველოში სომეხ და ქართველ-უმთავრესად პირველ ტომის ფულიანმა ხალხმა დაიჭირა. თუ რამდენად შერყეული და უძლური იყო ამ ხანებში (მე XIX საუკ. პირველ ნახევარში) საქართველოს გლეხ-კაცობა, ამას აშკარად ჰხნუსხავს მისი მდგომარეობა. სამწუხაროდ, უადგილობის გამო ვერ მოვიყვანთ მთელი რიგი კონკრეტიულ ფაქტებისა იმის დასახასიათებლად თუ რა რიგ მხეცურ ექსპლოატაციას ჰქონდა იქ ალაგი. მწარმოებელი საზოგადოება იმდენად გაჭირვებული იყო და უძლური, რომ ადვილად უვარდებოდა მევახშეებს კლანჭებში. აუარებელი ცნობები მოიპოვება, რომ მევახშეები საქართველოში სამდა ორთმაგ პროცენტებს იღებდნენ გასესხებულ ფულზე.. ასი და 120—50 პროცენტი ხომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ხალხი პირდაპირ ტყავდებოდა, მევახშეების სასარგებლოდ ერთიანად კარგავდნენ მთელ სარჩო-საბადებელს. მრავალტომიან „Труды для изученія экономическаго быта государствъ крестьянъ Закавказскаго края“ ან „Сводъ трудовъ...“-ში მოთავსებულია ფრიად საგულისხმიერო გამოკვლევანი — რომელსაც ცენტრალური კავკასიის სტატისტიკური კომიტეტი ჰხელმძღვანელობდა, ჩვენ დავინახავთ, რომ ბ. ბ. კუჩაევი, არღუთინსკი დოლგორუკოვი, მაჩაბელი, ბახტაძე-ხონელი სრულად მართლად ნუსხავენ, დაუფარავად აღიარებენ რომ მევახშეებს მთელი სოფლის მეურნეობა თავის სავახშო კაპიტალის კლანჭებში ჰქონდათ ჩაგდებული. ვენახიანი ადგილები, დახნულ-დათესილი ნოყიერი მიწა-წყალი მაღალ პროცენტებიან მევახშეების ოქრო-ვერცხლით იყო დავალიანებული. მრავალი მიწა-ადგილი, ბაღები, ვენახები, სახლ-კარი საჯაროდ გაიყიდა, მევახშეების ხელში ჩავარდა.

მევახშეები გლეხ-კაცობის ზურგზე ბუქნას უვლიდნენ. არავინ ჰფიქრობდა მათს ალაგმას და აი ბ. არღუთინსკი თავის გამოკვლევაში, რომელიც „Труды...“-შია მოთავსებული კიდეც ჰნუსხავს საქართველოში მევახშეების მთელ შეთქმულობის, ორგანიზაცია—სინდიკატს.

თედ. ღლონტი.

(დასასრული იქნება)

მაგე არ გვიშველა. თუ ამას გარდა სხვა ნახნავი გვებადა რამე, ისიც ასე სიმშრალის გამო ფუჭდება და უნუგეშო მდგომარეობაში ვარდებით. მოგვეჭრა უმთავრესი მასაზრდოებელი ძარღვი თ.-დ. მაყაშვილის მამული, მასთან სხვაგა და სხვა წვრილმანი მამულები: თ.-დ. ივან რამაზის ძის ანდრონიკოვისა და მაისურაძისა, ზედაც ეს მოსავლის მხრივ უნუგეშობა და მეტიც ადარც ჩვენ სოფლის გლეხ-კაცობას შეუძლიან. ძლიერ იმედიანად უნდა მოიძებნებოდეს ჩვენსავერ ერთობ წვდიად მოცული და უშორისუფლო კუთხე.

ეხლა ახალი შუამავალი მოგვივიდა იმედია მოლოდინი არ გაგვიცრუვდება და მასზე არ აგვიხდება ანდაზა „ახალი ცოცხი კარგად ჰგვისო." იმედი გვაქვს ყურადღებით მოექცევა წვდიად მოცულ კუთხეს.

ამ დღეებში აქ, გაჭრეთში, მოვიდა ყვარელის ბოქაული (თელავის მაზრა). დაიჭირა და თან წაიყვანა ოთხი კაცი: განო და სანდრო კუპრავიშვილები, მიხა ფრიდიაშვილი და ნიკა თვალმიხილაშვილი, რომელთაც მის საბოქაულოში თარეშობა, დილიჟანებზედ თავდასხმა და ძარცვა ჰბრალდებათ. საქმე ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

**გაჭრეთელი გლეხი.**

# უცხოეთი

**პორტუგალიაში.**

ლისაბონში ხმა გავრცელდა, ესპანია პორტუგალიის საქმეებში ჩარევას აპირებსო. ამის გამო ლისაბონის გაზეთებმა ერთი ამბავი ასტეხეს, დემოკრატიულ გაზეთების უმრავლესობა ერთხმად აღნიშნავს: ესპანიის ასეთი ნაბიჯი უგუნურებად უნდა ჩაითვალოს. პორტუგალია სიცოცხლეს არ დაზოგავს და მედგარ წინააღმდეგობას გაუწევს, ვინც ძალით მის საქმეებში ჩაერევაო.

მადრიდიდან რუსეთის გაზეთებს სულ სხვას ატყობინებენ: ჟურნალისტების შეკითხვაზე, აპირობს თუ არა ესპანია პორტუგალიის საქმეებში ჩარევასა პრემიერ კანალეხასს უარყოფით უპასუხნია, თუმცა პასუხში ასეთი ორაზროვანი სიტყვა ჩაურთავს: „თუ პორტუგალიაში ანარქისტები ესპანიის ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და ქონებას შეეხებიან, მაშინ ესპანიის მთავრობა მოვალე იქნება, შესაფერი ზომები მიიღოს ქვეშევრდომთა დასაცავად."

**ოპორტოს მერცხვი.**

ლისაბონში დიდი სენსაცია გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ოპორტოს ჰერცოგმა ნებაპოლი ანაზდად დასტოვა და ინგლისს გაემგზავრა პორტუგალიის მეფედ ნამყოფ მანუელის სანახავად.

**ძველის მინისტრების გაქცევა.**

რაც დიქტატორად ნამყოფმა ფრანკომ პორტუგალია-დასტოვა, მას შემდეგ ნელ ნელა გაიხიზნენ პორტუგალიიდან ყველა ის მინისტრები, რომელნიც მონარქიის დროს ბატონობდნენ. მათ გაქცევას იმითი ჰხსნიან, რომ ხალხისა ეშინოდათო.

**რუსეთი და პორტუგალია.**

დიპლომატიურ წრეებში დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს პორტუგალიის მდინარეებზე იტალიის კრეისერის გაგზავნის ამბავი. იტალიამ ეს კრეისერი გაგზავნა ლონდონსა, მადრიდსა და ბერლინთან წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ. რუსეთის დიპლომატიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, არც შემდეგში ჩაერიოს პორტუგალიის ბედით დაინტერესებულ სახელმწიფოებს, ამისდა მიუხედავად, პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც პორტუგალია ამ ჟამად განიცდის, რუსეთს იძულებულ ჰყოფს პორტუგალიის რესპუბლიკა საჯაროდ ჯერ კიდევ არ აღიაროს.

**სპარსეთში.**

**ბოიკოტი რუსეთის საქონელს.**

მეშედის მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს, რუსეთის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადონ იმ დრომდე, სანამ სპარსეთის ტერიტორიიდან რუსის ჯარს სრულიად არ გაიყვანენ. გადაწყვეტილებას მტკიცედ ასრულებენ.

**მუშტაიდების მანიფესტი**

თეირანსა და ნეჯეფში მუშტეიდებმა მანიფესტი გამოსცეს, მანიფესტი შარიატ-სპარსელთა და სუნიტ-თურქებს მოუწოდებს გაერთიანებისკენ, რათა შეერთებული ძალით შესაძლებელი გახადეს, მაჰმადიანთა ამ ორმა სახელმწიფომ თავი დაიცვას უცხოელთა იერიშებისაგან. მანიფესტს დიდს მნიშვნელობას აძლევენ, რადგან ის გამოიცა დღესასწაულის „შახსეი ვახსეი" დროს, როდესაც შარიატნი თავის ფანატიზმს უფრო მეტად იჩენენ.

**სპარსეთის ბიუჯეტი.**

პირველი ბიუჯეტი მეჯლისის საფინანსო კომისიას უკვე წარუდგინა შემოსავალი ნავარაუდევია **140.000,000** კრანი (26 მილიონ მანეთამდე). ხარჯების საერთო ჯამი გამორკვეული არ არის. რადგან სამხედრო და გარეშე საქმეთა სამინისტროებს ხარჯთ აღრიცხვა ჯერ არ შეუდგენიათ. მცირეოდენი ზარალი აუცილებელია.

# რუსეთი

**პროფესორ ნ. ნ. ლანგეს პროექტი.**

ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორმა ლანგემ პროფესორთა საბჭოში წერილობითი განცხადება შეიტანა, რომლითაც ურჩევს ზოგიერთ ზომების მიღებას, რათა სამერმისოდ თავიდან აიცილონ ისეთი ამბები, როგორიც ამას წინად უნივერსიტეტში მოჰხდა.

უპირველესად ყოვლისა პროფესორი ლანგე სთხოვს სახალხო განათლების მინისტრს საგანგებო მინდობილობათა მოხელე დანიშნოს, რომელსაც გაცნობილი ექმნება უნივერსიტეტის უკანასკნელი ამბები, უნივერსიტეტს საერთო რევიზია გაუკეთონ.

მეორედ, წინადადებას აძლევს, საბჭოდან არჩეულ იქმნას კომისია, რომელიც საერთო დებულებას შეიმუშავებს. ამ კომისიაში პროპორციონალური წარმომადგენლობა ექნებათ სხვა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფთ და პროფესორთა, რომელნიც ამ ჟამად საბჭოში იმყოფებიან.

მესამედ, პრ. ლანგე წინადადებას აძლევს დაარსდეს საგანგებო აღმასრულებელი კომისია, რომელიც თადარიგს მისცემს შემწეობა-დახმარების საქმეს და ღარიბ სტუდენტებს სწავლის ფულისაგან გაანთავისუფლებს.

შემდეგ პროფესორი მოითხოვს, რათა აუცილებლად აეკრძალოთ ყველა სტუდენტებს იარაღის ტარება. ამის გარდა ყველა სტუდენტებს უნდა აეკრძალოთ უნივერსიტეტის გამგეობაში და მართველობაში ჩარევა. მემარჯვენე პროფესორები პრ. ლანგეს წინადადებებს დიდის პროტესტით შეჰხვდნენ.

**ბერ-მონოზონ ილიოდორის საქმე**

სისხლის სამართალში აძლევენ ბერ-მონოზონ ილიოდორს, რომელსაც თავის თხოვნაში მოსამართლეთათვის შეურაცყოფა მიუყენებია. საბრალმდებლო ოქმი უკვე ჩააბარეს.

**მუშის დაჯილდოვება.**

მეფე იმპერატორმა „სვეტის" ასოთამწყობს საპატიო მოქალაქეობა უბოძა, 30 წლის ერთგულ მუშაობისთვის. ეს პირველი შემთხვევაა მუშათა ცხოვრებაში.

**საუნივერსიტეტო წესდების განხილვა.**

საერთო თათბირი შესდგა სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს მემარჯვენე ფრაქციათა წევრების უნივერსიტეტის წესდების განსახილველად. თათბირზე მრავალი წევრი დაესწრო. ვიზინგინი მოუწოდებდა თვალყური ედევნებინათ უნივერსიტეტის სწავლის საქმისთვის, სადაც კასსოს ხელმძღვანელობით ფეხს იკიდებს კადეტური მიმართულება. თათბირზე გადასწყდა იმ გზას დაადგნენ, რასაც მემარჯვენე პროფესორები შეიმუშავებენ.

**შავი ჭირის მსხვერპლნი.**

ფუძიადიანიდან გვატყობინებენ შავისპირისაგან დახოცილნი ქუჩებზე ჰყრიან და ძაღლები სჭამენო. ხარბინში ერთი სტუდენტი ტომსკის უნივერსიტეტისა გამხდარა ავად.

**სამედიატორო სასამართლო**
(ქ-ნ თამარაშვილისა და ნ. ჯაფარიძის საქმის გამო)

1911 წლის, იანვრის 5 და 6 რიცხვს, სამედიატორო სასამართლომ განიხილა ნიკო ჯაფარიძის მიერ „სახალხო გაზეთის" მე-192 №-ში და სამსჯავროში წამოყენებული ბრალდება შესახებ ქ-ნ თამარაშვილისა. ჩვენება ჩამოართვა ბრალმდებელ — ბრალდებულსა და მათ მიერ დასახელებულ მოწმეებს და შემდეგი დაადგინა:

თუმცა ყოფილა ისეთი გარემოება, რომლის მიხედვით ბ-ნ ჯაფარიძეს შეეძლო ეჭვი მიეტანა ქ-ნ თამარაშვილზე, მაგრამ, რადგან ეს გარემოება საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა, სასამართლომ ქ-ნი თამარაშვილი უდანაშაულოდა სცნო და ყოველ-გვარი ეჭვისაგან განათავისუფლა".

დედანს ხელს აწერს: სასამართლოს თავმჯდომარე პ. ყ. მედიატორები: მ. ჯანოევი, დ. ავალიანი, ს. ქავთარაძე და ვ. ბურჯანაძე.

დედანთან სწორია **დ. ავალიანი.**

# ახალი საზოგადო დაწესებულება

ამ ახალ დაწესებულებას „ივერიელთ კაცთამოყვარე საზოგადოება" ჰქვიან.

მისი დამფუძნებელნი წესდების დამტკიცებას მხოლოდ ამ დღეებში ელირსნენ

პირველი მუხლი წესდებისა აღნიშნავს, რომ „საზოგადოების" მიზანია — გაჭირვებულ კაცს გაუჩინოს საქმე და საშოვარიო.

ყველამ ვიცით, რა ძნელია ჩვენში საქმისა შოვნა და როგორ აწუხებს ხალხსა უმუშევრობა და უმიწაწყლობა სწორედ ამ ძნელ საქმის გაძლოლას აპირებს ეს ახალი „საზოგადოება".

თავის მნიშვნელობით იგი დაემგვანება ერთგვარ **სახალხო ბანკს**: თავისის ხარჯით, თუ ნასესხი ფულით, იგი გააჩენს სხვა და სხვა სავაჭრო, სახელოსნო და სასოფლო საქმეს და ყოველ მის დაწყობაში და გამართულობაში მშრომელი კაცი საქმესა და საშოვარსა იპოვის.

„საზოგადოება„ დაატრიალებს თავის ფულსა და ყველაფერში ისე მოიქცევა, როგორც ვაჭრები იქცევიან: აქ-დუქანს გახსნის, იქ-სახელოსნოს, სოფელში მამულს შეიძენს და ყველგან თავის კაცს ჩააყენებს.

ეხლაც იტყვიან ხოლმე ვაჭრები: ჩვენ რომ ფულს ვატრიალებთ, მარტო ჩვენ კი არ ვიგებთ, ჩვენ საქმეში ხალხიც მუდამ პოულობს პატიოსან ლუკმა-პურსაო.

ეს უბრალო სიტყვა საქმედ უნდა აქციოს ახალმა დაწესებულებამ: **ეს საზოგადოება აპირობს ვაჭრობასა.**

ჩვენ ვინახულეთ ამ საქმის დამწყებნი. ისინი ამბობენ: ჩვენი მონარჩენი გროშები თუ ფულები უნდა მივართვათ „ივერიელ საზოგადოებასაო". რა საქმეც ჰსურს, დაიწყოს, ოღონდ ხალხს საშოვარი გაუჩინოსო. მერე კი საზოგადოებამ ისევ დაგვიბრუნოს ჩვენი ფული, მოგება კი ჩვენ სულაც არ გვინდა, მოგება თვითონ საზოგადოებას დარჩეს და საქვეყნო საქმეს მოახმარდესო. გავხდებით რასმეს, თუ ვერა, ეს ჩვენ არ გვაფიქრებსო: ჩვენ ვიცით, რომ სწორე გზას დავადექით და რაც უფრო მეტი ხალხი მოგვეშველება, მით უფრო იქნება გამარჯვებაო".

დიახ, ასეთია ეს თავისებური „სავაჭრო ფირმა"... უდივიდენდოთ! ამ საქმის დამწყობთ მშვენივრად ესმით, რომ „მსხვილი კაპიტალი" იქითკენ მიიწევს, საცა ეგულება „სანდო პირი და კაი პროცენტი".

მაგრამ „საზოგადოებას" აქვს უფლება გარეშე პირისგან ფული ისესხოს და „კაი პროცენტიც" შეაძლიოს. საჭიროა მხოლოდ, რომ თვითონ „საზოგადოების" წევრნი არ ილებდნენ ამ „პროცენტს", საჭიროა უწინარეს ყოვლისა, რომ შედგეს ჩვენში წრე უანგარო და მცოდნე პირთა, ეს წრე თვითონ მოახვეჭებს ქვეყნის სამსახურსა, თვითონ მოახერხებს მოპოვებასაც და საზოგადო თანხის დატრიალებასაც ხალხის სასარგებლოდ.

ვისიმე მტრობა და ვიწრო ნაციონალიზმი შორს არის ამ საქმის დამწყობთაგან: ისინი დიდად ეცდებიან, რომ ამგვარი დაწესებულება ყველგან გავრცელდეს, რომ ეს ახალი ფორმა საზოგადო თვითმოქმედებისა საერთოდ იქცეს, რადგანაც უბედურება უცხო მუშისა ჩვენი უბედურებაც არის და უმიწაწყლოდ თუ უსაქმოდ დარჩენილი უცხო მუშა ჩვენც გვაწუხებს და გვცილდება.

არც კერძო ვაჭრის მტრობა ჰსურს საზოგადოებას და მის საქმეში არ გარევა: ამ დაწესებულებას ჰსურს მხოლოთ პატიოსანი სამაგალითო დამოკიდებულება იქონიოს თავისივე მუშასთან, კანონიც მხოლოთ ამის ნებას აძლევს და ყოველი სხვაგვარი მზრუნველობა მშრომელზე ამ დაწესებულების მოქმედების გარეშე რჩება.

მოვუწოდებთ ქართველ საზოგადოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ ახალ დაწესებულებას, მით უმეტეს, რომ იგი არ მოითხოვს მონაწილეთაგან არავითარ შესამჩნევ მსხვერპლსა.

მსურველს შეუძლიან წესდების მიღება ჩვენს რედაქციაში. *) **ხანი.**

*) რედაქცია ამ საქმეში ბ-ნ ხანის ოპტიმისტურ აღფრთოვანებას მთლად ვერ იზიარებს.


# განცხადებანი

**2 კასტუმი 5 მან. 25 კ.**

რადგან გავრცელება გვსურს, 5 მ. და 25 კაპ. მსურველთ ვუგზავნით 2 შემდეგომისა და ზამთრის საკასტუმე ნაჭერს: 1) 4 ნაწევ. არშ. კაცის საკოსტ. ფრანგ-ტრიკოს, მეტად გამძლესა და მოდის სახიან. მატყლ. მასალ.; 2) 8 არშ. მატერ. „ანგლეი" ქალის საკაბედ 2 მოდისა, ლამაზი მატყლ. მატერ. ახეთივე 2 ნაჭერი საუკეთესო ზარისხისა 6 მ. და 25 კ. გასაგზავნი 55 კ. ცალმხრ.—1 მ. 25 2 ან მეტ ნაჭრის დამბარებელთ გასაგზავნი არ ეზღვინებათ. ვუგზავნით ფოსტ, ფასდადებით და პასუხისმგებლობით. დაწუნებულს უკანვე ვღებულობთ ადრესი: Г. Лодзь, N 18-я, фабрика суконно-шерстяной мануфактуры. Метцль, 2506. 10—39—1

**ტიროლის ტილო**

მამაკაცთა და მანდილოსანთა თეთრეულისათვის, საუკეთესო ზარისხისა, ჰოლანდიური ხითეთრისა სქელია და გამძლე ზიგანით 20 ვერშ. 1 ნაჭერი 24 არშ.—5 მ. საუკეთესო ზარისხისა—5 მ. 50 კ. და 6 მან 25 კ. გასაგზავნი—55 კ. 2 ნაჭრის დამბარებელი გასაგზავნს არ იხდის. დაწუნებულ საქონლის ფულს უკანვე ვუბრუნებთ ადრესი: А. Кивманъ, Лодзь, N 18-я. Метцль, 2789. 3—38—1

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან

**გაიხსნა**

**მუხრანსკის ახალი კერძო**

# სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ნ. მ. ახმახოვი**—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგაბანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. **ა. ი. გრიგორიანი.** № 646. 100—5 (0—5—8)

# დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აბეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გევეხკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**სპეციალური**

# სამკურნალო

**კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.**

ველიკოკნიაჟის ქ. N 9, გარანცოვის ძეგლის მახლობლად.

ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები **გ. ა. გედალინი** და **ი. მ. ზაბლუდოვსკი** 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა იღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეხვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მუშათა შემოწმება.

მეხვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 წამლობა, ელექტრონით წერილი. (0—6—8)

◀ მშობიარეთათვის ▶

# თავშესაფარი

**ბებია-ქალის**

**თუხარელისა.**

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღესაც და ღამესაც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (ი.—45)

**მშობიარეთა თავ შესაფარი**

✦ბებია ქალისა

**მ. ი. კრემერისა**

ნიკოლოზის ქ. სახ. № 47.

მშობიარენი და ორსული ქალები მიიღებიან დროს განუსაზღვრელად—დღითაც და ღამითაც. მშობიარეთ კარგად უვლიან, საექიმო დახმარებას მუდამ უწევენ, არის ოთახები ისეთ მშობიარეთათვის, რომელთაც საიდუმლოდ სურთ მოილოგინონ. პირობები საერთო პალატაში 2 მ. დღელამეში, მშობიარობის დროს დახმარება 6 მანეთი, ნომერში მოსათავსებელ და გინეკოლოგიურ ავადმყოფთ ფული გადახდებათ წინასწარ მორიგების თანხმად. ქალთა სენით ავათმყოფთა მიღება და ძიძების გასინჯვა ყოველ-დღე დილის 12½—1½ საათამდე (100—276—13)

# სინჯეთ და დარწმუნდით!

**ინგლისის ქარხნის საპნით ნარეცხი თეთრეული,**

ჰსინჯეთ და პირადად დარწმუნდებით, რომ ინგლისური ქარხანა **კლინალ ლიმიტედის ● ვ ა შ ე ნ ე ს ●** საპნით გარეცხილი თეთრეულს 1½—2 წლის მაგიერ 6—8 წელიწადს ატარებთ.

იგი სრულიად უვნებელია და უმანქანოდ, ხელების გაუფუჭებლად 15 წუთში გარეცხავთ თეთრეულს.

სიყალბის თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ მთავრობის მიერ დასტამბულ მარკას № 10499—12752.

მთავარი წარმომადგენელი **ვიქტორ ზატკალიძი,**

შიდა-კავკასიის წარმომადგენელი **ზ. ნ. ხრხრიანცი**

და **ტ. ზ. ბახშინოვი.**

С.-Петерб., Ст. Больш. пр., № 92.

(15—822—9) Тифлисъ, Елизаветинская, № 192.

**ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

# საბუღალტერიო კურსები

**ნ. ვ. აზრამიანისა.**

საქარ. „ვაჭრობ. და ნავთის წარ. ბუღალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორი, რომელიც მოწონებულია ფინან. სამინისტრ. სამცნ. განყოფილ. მიერ, როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

◀ **ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ** ▶

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხის თვის. განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუღალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს.

**კურსების მასწავლებლებად უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.**

სწავლა დაიწყება 15 იანვარს 1911 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნახადილევს, თხოვნები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

ამასგარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.

წესდება და პროგრამები ეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. მსურველმ უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად, კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22. ტელეფონი 744.

ზემოდ-დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან ფასდადებით გამოიწერს— გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—292—9)

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

# კომერციულ ცოდნათა კურსები

**ტ. მ. ფილოიანისა,**

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფონი 977).

**სპეციალური კომერციული განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის.**

კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებლებში (ლონდონში) და **პიგერის მუსტერ-ლომტუარში** (პარიზში. მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ.: 1. ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო საქარხნო) 2. კომერციული არითმეტიკა. 3 პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5 კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა (ხელის გასწორება). ბ) არა სავალდებულო: 1. **უცხო ენები** 2. სტენოგრაფია. 3. დაკტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ინდივიდუალურად.

**კურსების ლექტორები არიან სპეციალისტები უმაღლეს განათლებით.**

თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. სწავლა იწყება 15 იანვარს. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან.

(2—42—1) კურსების დირექტორი **ტ. ფილოიანი.**

**ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთოევის მრეწველობის**

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

# ძმ. ძეგველოვების

**● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●**

**პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**✦ ახალ-ახალი ✦**

**ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).**

# ხიზილალა

**ახალი** (Зернистая).

◀ პარკისა და კოლოფებით ▶

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)**

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და **წითელი ხიზილალა** (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—128—78)

**ერთად-ერთი საწყობი ფოთოევის მრეწველობისა.**

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა